საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/85 05.10. **2021 წ.**

MES 8 21 0001025778

05/10/2021

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის 11 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესის აღდგენა-განხორციელების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის № 1011269 ბრძანების, " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 სექტემბრის №849364 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2021 წლის 11 ოქტომბრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი წარიმართოს დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში;

2. აღდგეს სასწავლო პროცესი 2021 წლის 11 ოქტომბრიდან ქვემოთ ჩამოთვლილ, უნივერსიტეტის 20.09.2021 წლის № 01-04/74 და 24.09.2021 წლის №152 &38 ბრძანებებით დროებით შეჩერებულ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე :

2.1. 2019 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 2.1.1. **მხატვრული ქსოვილები;**

2.2. 2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: 2.2.1. **მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება;** 2.2.2. **სისტემების ადმინისტრატორი;** 2.2.3. **სარეკლამო აგენტი;**

2.3. 2020 წლის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2.3.1. **მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;** 2.3.2. **მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება;** 2.3.3. **მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება;**

2.3.4. **საავტომობილო გზების მშენებლობა.**

3. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრზე და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

4. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის01 ოქტომბრის № 1011269 ბრძანება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
როლანდ კოპალიანი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი /
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
ბასილაძე იმერი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი
ხელმძღვანელი
სვანაძე სერგო